შესყიდვის ხელშეკრულება

___/___/___

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 201_ წლის _____ _____ ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

1. **შპს „_____“**, საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში **„მყიდველად“** წოდებული;

2. **შპს „_____“**, საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში **„გამყიდველად“** წოდებული;

ერთად წოდებული „მხარეები“, წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულება) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულება) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქციას და სურსათს შემდგომში „ქონებად“ წოდებული;

1.2. ქონების ზუსტი დასახელება, ოდენობა, სახეობა, ხარისხი და ფასი გათვალისწინებულია გამყიდველის ფრაისით.

2. ქონების შეკვეთის და მიწოდების წესი

2.1. მყიდველი გამყიდველს უკვეთავს ქონების იმ სახეობას, რომელიც მოცემულია ფრაისში დაფასოვების, ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით.

2.2. შეკვეთის განხორციელება შესაძლებელია გამყიდველის ოფისში განაცხადის შევსებით, ტელეფონით ან/და 24 საათის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში გამყიდველის ვებ-გვერდიდან (www.geobarn.ge). ამასთან შეკვეთის განხორციელებისას მყიდველმა ზუსტად უნდა მიუთითოს შეკვეთილი ქონების სახეობა, წონა, რაოდენობა (ქონების სახეობის მიხედვით), ხარისხი, მიწოდების თარიღი ან/და პერიოდი, ქონების მიწოდების პირობა (გამყიდველის საწყობიდან ქონების მყიდველის მიერ გატანა ან ქონების მყიდველისათვის მის მიერ მითითებულ მისამართზე მიწოდება) და ის სპეციფიკური მოთხოვნა, რომელიც მას გააჩნია ქონების მიმართ. შეკვეთის შინაარსი დასტურდება გამყიდველის სპეციალურ დავთარში შესრულებული ჩანაწერებით.

2.3. ტელეფონით განხორციელებული შეკვეთა არაუმეტეს „----„ საათისა ან ქონების მიწოდებამდე მყიდველის მიერ დადასტურებული უნდა იქნეს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში აღნიშნული რეკვიზიტების შესაბამისად. ქონების მიწოდების ვადების ათვლა წარმოებს დადასტურების შემდეგ. ამ პუნქტში აღნიშნულ ვადაში შეკვეთის არ დადასტურების შემთხვევაში ითვლება, რომ შეკვეთა გაუქმებულია.

2.4. მყიდველს სასურველი ქონების ღირებულების ნახვა შეუძლია გამყიდველის ინტერნეტ ვებ-გვერდზე ---------- შეკვეთის განხორციელების დროს დაფიქსირებული ფასი ქონების შეკვეთიდან მიწოდებამდე პერიოდში არ იცვლება.

მყიდველი _____ გამყიდველი _____

2.5. მყიდველს უფლება აქვს შეკვეთის განხორციელებიდან 2 საათის განმავლობაში გააუქმოს შეკვეთა ან შეიტანოს მასში ცვლილებები. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეკვეთის გაუქმება ან შეცვლა დაუშვებელია. შეკვეთის შეცვლის შემთხვევაში ქონების მიწოდების ვადების ათვლა წარმოებს ცვლილებების განხორციელების მომენტიდან.

2.6. გამყიდველი უზრუნველყოფს მყიდველისათვის შეკვეთილი ქონების მიწოდებას შეკვეთის შესაბამისად.

2.7. გამყიდველის მიერ ქონების ადგილზე მიწოდების განხორციელების შემთხვევაში თბილისის ტერიტორიაზე 100-დან 500 -ლარამდე შეკვეთის შემთხვევაში ქონების ღირებულებას ემატება ტრანსპორტირების მომსახურების თანხა - 10 ლარი. 500-დან 1000-ლარამდე ფარგლებში შეკვეთის შემთხვევაში ქონების ღირებულებას ემატება ტრანსპორტირების მომსახურების თანხა - ქონების ღირებულების 3%. 1000 ლარის ზემოთ შეკვეთის შემთხვევაში ქონების ღირებულებას ემატება ტრანსპორტირების მომსახურების თანხა - ქონების ღირებულების 2%.

თბილისის გარეთ მიწოდების განხორციელების შემთხვევაში ქონების ღირებულებას ემატება ტრანსპორტირების მომსახურების თანხა - ტრანსპორტირების დროს გახარჯული საწვავის ღირებულება (ორი გზა).

2.8. მიწოდებული ქონების მყიდველის მიერ უკან დაბრუნებას ან შეცვლას არ ექვემდებარება (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დარღვეულია მიწოდების დრო და ხარისხი არ შეესაბამება შეკვეთილს)

2.9. ქონების მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს გამყიდველის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

2.10. ქონება მყიდველის მიერ მიღებულად/შესყიდულად ითვლება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებზე მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.

2.11. ქონების ხარისხთან, რაოდენობასთან ან შეკვეთაში მითითებულ სხვა პირობებთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით მყიდველის მიერ გამყიდველისათვის პრეტენზიის წარდგენა ხდება ქონების მიღება/შესყიდვისთანავე. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ მიიჩნევა, რომ მიწოდებული ქონება სრულად შეესაბამება შესაბამისი შეკვეთის მოთხოვნებს.

2.12. გამყიდველი სრულად აგებს პასუხს მისაწოდებელი ქონების წონასა და ხარისხზე.

3. ქონების ღირებულება და გადახდის წესი

3.1. მყიდველის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება ქონების და ტრანსპორტირების მომსახურების ის ღირებულება რომელიც მითითებულია შესაბამისს სასაქონლო ზედნადებში.

3.2. ქონების და ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.3. გამყიდველის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ფრაის ლისტში და გამყიდველის მიერ გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში მითითებული ფასები არის დღგ-ს ჩათვლით.

4. ურთიერთშედარება

4.1. მხარეები უფლებამოსილი არიან გარიგების მეორე მხარეს მოსთხოვონ ურთიერთშედარების აქტების გაფორმება, რომლის მეშვეობითაც მოხდება განვლილი პერიოდის განმავლობაში მიწოდებული ქონებისა და გადახდილი ღირებულების დაზუსტება. განსხვავების არსებობის შემთხვევაში მხარე, რომელსაც დაუფიქსირდება დავალიანება, ვალდებულია 7 კალენდარული დღის განმავლობაში თანხობრივად დაფაროს ვალდებულება.

5. განსაკუთრებული პირობა

5.1. იმ შემთხვევაში თუ მყიდველს რომელიმე ნებისმიერი მესამე პირი შესთავაზებს იგივე ქონების მიწოდებას, რაც მითითებულია გამყიდველის ფრაისში, მყიდველი ვალდებულია არ დაიწყოს აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკებები მანამ, სანამ აღნიშნულის შესახებ წერილობით არ აცნობებს მყიდველს. (წერილობით შეტყობინებაში უნდა მიეთითოს მესამე პირის მიერ შეთავაზებული პირობები და ფასები)

5.2. გამყიდველი ვალდებულია მყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან სამ სამუშაო დღის ვადაში აცნობოს წერილობით მყიდველს თავისი პოზიცია.

5.3. მხოლოდ და მხოლოდ გამყიდველსა მყიდველს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია დაიწყოს მოლაპარაკება მესამე პირთან.

5.4. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. და 5.3. პუნქტების დარღვევა მიჩნეული იქნება მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტად და მყიდველმა გამყიდველს პიგასამტეხლოს სახით უნდა გადაუხადოს ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამყიდველის მიერ მყიდველზე მიწოდებული ქონების ჯამური ღირებულების ერთმაგი ოდენობა. აღნიშნული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მყიდველზე ბოლო მიწოდების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

5.5. ამ მუხლით გათვალისწინებულ ურთიერთობის რეგულირებისას მხარეები ვალდებულნი არიან გამართონ მუშა შეხვედრა, რომლის აუცილებელი პირობაც უნდა იყოს მხარეთა უფლებების დაცვა.

6. განხორციელებადობა და განცალკევებულობა

6.1. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება ან მისი ნაწილი გახდება ბათილი ან განუხორციელებადი ან წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს კანონმდებლობასთან, ნებისმიერი ამგვარი გაბათილებული, განუხორციელებადი ან წინააღმდეგობაში არსებული დებულება ან მისი ნაწილი ჩაითვლება განცალკევებულად წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა მისი შემცვლელი დოკუმენტის დანარჩენი დებულებებისაგან და არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ამასთან ამგვარი ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ბათილი დებულებით დასახული მიზანი.

7. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთა სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეებისათვის. გამყიდველი არ არის უფლებამოსილი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები გადასცეს ნებისმიერ მესამე მხარეს მყიდველისთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

8. შეტყობინებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილი ან ნებადართული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები ჩაბარებული იქნება პირადად ან გაიგზავნება დაზღვეული ან რეგისტრირებული (მათ შორის ამ პუნქტში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე, რომლის მიღებაც დადასტურებული უნდა იყოს მიმღების მიერ) საფოსტო გზავნილით შემდეგ მისამართებზე:

შეკვეთის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი:	**შეკვეთის გაკეთებაზე უფლებამოსილი პირი:**
სახელი გვარი:	სახელი გვარი:
მისამართი:	მისამართი:

მობ. ტელეფონი	მობ. ტელეფონი
ელ. ფოსტა:	ელ. ფოსტა:
საიტი:	საიტი:

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები, ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის დავის წამოჭრის შესახებ შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად მხარეები მიმართავენ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

10. ზოგადი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოთ.

10.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის უფლებამოსილი პირის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულად, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მყიდველი“	**„გამყიდველი“**
შპს – “ ”	შპს – “ ”
ს/კ	ს/კ
მის:	მის:
SWIFT:	SWIFT:
IBAN:	IBAN:
დირექტორი:	დირექტორი:

მყიდველი _____ გამყიდველი _____